# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 33 — კვირა, 28 დეკემბერი 1908 წ. — № 33

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირ. 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭВА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.



მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

## დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

✦ ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელს გაზეთი დაიბეჭდება „ოქსფორის ხაზგუსტავს“ დეპეშები. დეპეშები შავი დაბეჭდილი და ... .

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ✦

✦ დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გამოწერის გადახდა შეიძლება ... . ... ხელის-მოწერა ... : პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა ... .

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური ბატარა

## კალენდარი 1909 წლისა

**ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში:**

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ... —სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქონგახლა; ... ; ... ; კერძოდ ... .

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა მიიღება: **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან; **ქუთაისში**—ის. კვიცარიძესთან; **გორში**—ს. პ. ... ; **სურამში**—ქვლივიძესთან; **ცხინვალში**—ა. კვალიაიძესთან; **თელავში**—კ. ოხიკაშვილთან.

◀ **ხელის მომწერთა საყურადღებოდ** ▶

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ტფილისში ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მიიღებენ ფულის კანტორაში მიტანას, დასტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ ქვითრებით, რომელიც აქვს უკანასკნელი კვიტანციის ყარუდგეს.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში მიიღება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.



უდროოდ გარდაცვალებულის მოსკოვის უნივერსიტ. სტუდენტის

## მიშა ფორაქაშვილის

სულის მოსახსენებლად კვირას, 28 დეკემბერს, გადახდილი იქნება ორმოცის წირვა 10 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე, ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულ-ჩაკლული დედ-მამა **თინათინ გიორგის ასული** და **დავით ილარიონის ძე ფორაქაშვილნი** შვილებითურთ და ბებია **ელისაბედ ყარამანის ასული კნ. ვაჩნაძისა.** (2—896—2)



**ქვრივი ოლგა საჩინოს ასული გაბაშვილისა** შვილებითურთ, **ნატალია და სოფიო ილარიონის ასულნი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 28 დეკემბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და 12 საათზედ პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

## ვასილ ილარიონის ძის გაბაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—698—1)



წარმოდგენა № 4. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 4.

— წარმოდგენა დილით —

კვირას, 28 დეკემბერს 1908 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ისტორიული პიესა აკაკი წერეთლისა**

## პატარა კახი

დრამა 5 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი, მ. ქილარჯიშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, ა. ... , ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი ... , ი. ქიქიძე, მ. ხაკარაშვილი, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 8 მ.-დან 2 მ.-მდე, პარტერი 3 მ.-დან 75 კ.-მდე, გალერეია 60 კ.-დან 20 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „ხელები“ ლემონიესი, „ღალატი“, „ქმრის ... “, „სალხინო“.

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.



**ტფილისის სახაზინო თეატრი**

კვირას, 28 დეკემბერს, ორი წარმოდგენაა:

| დილით დაკლებულის ფას. | საღამოთი: |
| --- | --- |
| „მეფე დურგალი“ | „იოლანტა“, „იოლკა“ (ოპერა) და |
| 2. პროლოქტორი | „ნურ და ანიტრა“. |

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, აფანასიევა, კალინინა მეორე, პოზნიაკოვა, ფერრარი; დანილევსკი, ევლახოვი, როზანოვი, სიმონოვი, ... , ხლუსტინი და სხვ.

დირიჟორი **ა. ეიხენვალდი** და **ი. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** 29 დეკემბერს „მხიარული ქვრივი“; 30 დეკ. „ზაზა“. 31 დეკ. „სიყვარულის ღამე“. წარმ. გათავდება სალ. 10 ნახევარ საათზე. 1 იანვარს დილ. დაკლ. ფას. შობის ხე, „ნურ და ანიტრა“ და პროლექტორი.



**გამოვა 1909 წ. საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

წელიწადი მეხუთე. **„ნაკადული“** წელიწადი მეხუთე.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ნაკადულის რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში N 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურთა ბანკის ქარვასლაში).

**1909 წლის 1 იანვრიდან 1910 წ. 1-ლ იანვრამდის**

მიეცემა წლიურ ხელის მოწერელებს

**24** წიგნი ქურ. „ნაკადულის“ უფროს ყმაწვილთათვის, **12** წიგნი ქურ. „ნაკადულის“ მოზრდილთათვის, **36** სურათი გამოჭრისა და ... .

გარდა ამისა მიეცემათ პრემიათ: **„რას გვიამბობს ოთახი“**, ავენარიუსისა ვინც წლიურ ფასს სრულად არ შემოიტანს პრემია არ მიეცემა.

| | |
| --- | --- |
| ფასი წლიურად ხუთი მანეთი. | მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მანეთი. |
| ნახევარი წლით სამი მანეთი. | მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მანეთი. |
| საზღვარ-გარეთ წლიურად—7 მანეთი. | ნახევარ წლით . . . . —4 მანეთი. |

ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

რედაქტორი **მ. ი. დემურიასი.**

(5—8.—4) გამომცემელი **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**



**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 4 იანვარს, სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია

## საზოგადოების საგანგებო კრება

**კრების საგანი:** 1. მიღება საზოგადოების ახალ წევრებისა, 2. გამგეობის საქმეთა წარმოების ინსტრუქცია. კრება დაიწყება დილის 11 ს.

ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ თუ სადმე სურთ წ. კ. საზოგადოების განყოფილების დაარსება და ადგილობრივ არ მოიპოვება 30 ნამდვილი წევრი საზოგადოებისა (როგორც ამას მოითხოვს განყოფილებათა ინსტრუქცია), დაუყოვნებლივ წარმოდგენილ უნდა იქნეს გამგეობაში სახელი და გვარები იმათი, რომელთაც სურთ წევრობა (მათი რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ 30-ისა) და ხვედრი საწევრო ფულიც სრულიად; 4 იანვარს საგანგებო კრება მიიღებს მათ წევრებად და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლებათ ადგილობრივ განყოფილების დაარსება. (3—უ—3)



## ცნობა

სავაჭრო სახლი

## ძმ. აკოფჯანოვის და სარქისიანცის

**ნიკოლოზის ხიდზე, ქამოევის სახლში №№ 25—30.**

პატივი გვაქვს ვაუწყოთ პატივცემულ მყიდველებს, რომ რადგანაც საკუთარ ფაბრიკაში დამზადებულია ცოდ-ძილი საქონელი

**100,000 მანეთისა:**

მამაკაცის, დედაკაცის, ბავშვების და ყველა დაწესებულების ფორმების; და, საზოგადოთ, ვაჭრობის შეჩერების გამო, მთავარ გამგეობის განკარგულებით ამ წლის **პირველ დეკემბრიდან** ყველა საქონელზე, რომელიც ინახება საზამთრო და საზაფხულო მაღაზიებში ტფილისში დანიშნულია

## დიდი იაფი ვაჭრობა

(10—ს.—10)



საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

**(დაარსებული 1890 წ.)**

**მიიღება ხელის მოწერა 1909 წლისათვის.**

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა. პატარებისთვის და მოზრდილ ყმაწვილთათვის.

**ჟურნალი „ჯეჯილი“**

| | |
| --- | --- |
| ტფილისში ეღირება 4 მან. | ქალაქ-გარეთ გაგზავნით 5 მ. |
| ნახევარი წლით . 2 მან. | ცალკე ნომერი. . . . 40 კ. |

ძველი წლების ყველა „ჯეჯილები“ და რედაქციის საკუთარი გამოცემები ძალიან იაფად იყიდება რედაქციაში.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „წერა-კითხვის საზოგ. კანცელარიაში“ და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა, N 5, კადეტის კორპუსის გვერდით.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ ред. грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

(0—ე.—3) რედ.-გამომცემელი **ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.**



დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ამ წლის უკანასკნელი ნომერი ჟურნალ

## „განათლებისა“

**შემდეგის შინაარსით:**

1. ემმანუელ-დე-ამიჩისი. 2. მასწავლებლის თავგადასავალი, დე-ამიჩისის თხზულებიდან. 3. წითელი ხარაული, მოთხრობა ძველი გერქლისა. 4. შოთას ერთობა, ლექსი ვაჟა-ფშაველასი. 5. ცნოვრება და ხელოვნება, ქართული ენის დაცვაზე კიტა აბაშიძისა. 6. ღმის შემდეგ (საფრანგეთის წარსულიდან), ლექსი ი. ევდოშვილისა. 7. თავისუფალი აღზრდა საქმეში პესტალოცის მიხედვით, კახაბერისა. 8. აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვა ლ. ბოცვაძისა. 9. ლ. ნ. ტოლსტოის პედაგოგიური აზრები, Ignotus-ისა. 10. პროფესორი პეტრიაშვილი და ოდესის უნივერსიტეტი, ს. ავალიანისა. 11. პროფესორი პეტრიაშვილის ნაწერის, გ. ჯავახიშვილისა. 12. სქესობრივი საკითხი, ნიკოსი. 13. ბიბლიოგრაფია: დაწყებითი სკოლაში გამოკვლევა ლაზურსკისა-ხანისა. ელენ კეი—დედა და შვილი, ს. ავალიანისა. 14. წერილი რედაქციის მიმართ ი. ფანცხავასი. 15. რედაქციისაგან.

**ფასი თითო წიგნისა 50 კაპ.** (3—უ—3)



**კავკასიის სამკურნალო წყლების გამგეობა**

აუწყებს ბ-ნთ მომხმარებელთ, რომ მან ტფილისში გახსნა სახაზინო საწყობი კავკასიის ბუნებრივ სამკურნალო წყლების

## ნარზანის და ესენტუკისა № 20

სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების კანტორა. ტელეფონი № 148.

Дворцовая улица, д. Сараджева, контора Россійскаго Транспортнаго и Страховаго Общества. Телефонъ N 148.

**ფასები საწყობში:**

ვაგონობით (120 ყუთი) . 1 მ. 80. კ. ყუთი
ყუთობით (100 ნახ. ბოთლი) 12 მ. 30 კ. „
ნახევარ-ბოთლობით ჭურჭლიანად 14 კ.—

(12—6—12) დირექტორი **ს. ტილიჩეევი.**



**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, სამარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლეჩამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარქოვიანისა. (25—6.—19)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, საშხონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —129 ს. და საღამოთი 4—6 ს. (ე)

**ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბრიხეს ქუჩა, N 11. (25—656—17)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი გ. ე. ხოჯაპარუხოვი** ყოფილი ასისენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიღება სიფილისით, სამარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. ხოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—27)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—35)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდურონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—59)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, ხუხუნატი, სამარდე შილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—23)

**ექიმი** თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე** დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—668—13)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—59)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (ე)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (ე)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო სახაზინო ბანკის პირდაპირ. (ე)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მისიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საშ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ. ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგ. ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 11 ნახ. ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია** — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—90)



8 დეკემბერს გაიხსნა ახალი

## ტფ. კერძო სამკურნალო

(ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაკზლის ქ., 8; ს. ენფიანჯიანცისა; ტელეფონი 695.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოვ. დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ნახ.—9 ნახ. საათამდე შინაგანი.

**ექ. ვ. დ. ლამბაშიძე:** ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

**ექ. ბ. ა. კოკოვი:** ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

**ექ. ბ. მ. მაკაროვი:** სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოვ. დღე; 11 ნახ—12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ხირურგ. ავად.

**ექ. ი. გ. გომართელი:** ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. (25—657—14)



**ექიმი ა. ი. აშიანცი** ქუთაისში ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საუნივერსიტეტო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—ვვ.—20)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (ე)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (ე)



„ტფილისის კრუჟოკში“, 29 დეკემბერს

## საზოგადოება განათლება

მართავს

## ისტორიულ საღამოს

წარმოდგენილი იქნება ისტორიული სხვა და სხვა ხანის სიმღერებით და ცეკვით. ისტორიულ პირების გამოსვლა.

ტანისამოსი უნდა იყოს უბრალო ჩითისა. (3—უ.—1)



**აკაკის** იუბილეის ძვირფასი სახსოვარი

გასასყიდად დაურიგდა: ქ. შ. წიგ. გამ. საზოგად., ქუთაისში ის. კვიცარიძის და სხვა წიგნის მაღაზიებს ახ. „კალმის“ ახალი გამოცემა: ფერადი წამლებით დახატული საიუბილეო სიმბოლიური სურათი. ფასი ყველგან ორი აბაზი. უმთავრ. საწყობი ამხ. გამგესთან—გ. სალარიძესთან (ტფილისში: ოლგას ქუჩა, № 31). (3—უ.—1)



◀ მოზრდილ ▶

## ქალთა კურსები

(მასწავლებლების საზოგადოება)

მიღება მოწაფეებისა 3, 4, 7 და და 8 იანვარს, ნიკოლოზის ქუჩა № 104. (3—უ—1)



პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

## ნუ რცხვენით ქალებს!..

ანუ

„**კაცობრიობის მტერნი**“

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტინქტი და გონება.—მრუშის ფსიხოლოგია.—გონს მოდით.

ფასი 65 კაპ.

„დროების“ ხელის მომწერთ დაუთმობთ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергіевская, 51, ф. Камвисеой.

## ტფილისი, 28 დეკემბერი.

აკაკის მოღვაწეობის აღსანიშნავად ქართველმა ხალხმა ბრწყინვალე დღესასწაული გადიხადა. დღესასწაულმა ჩვენის ცხოვრების ბევრს დაფარულს მხარეს აჰხადა ფარდა, ბევრი რამ საიდუმლო გამოამჟღავნა. საჭიროა ანგარიში მივცეთ ჩვენს თავს იმის შესახებ, რაც თავის წარმტაცის მედიდურობით გრძნობებს გვიალმასებდა, და გადახდილ დღესასწაულის სხივს გავაშუქებინოთ გზა მომავალ მოქმედებისა. უამისოდ დღეს ხსოვნაში ღრმად ჩაბეჭდილი მოგონება საერთო აღფრთოვანებისა მძიმე-მძიმედ და უშეცდომოდ გაითქვიფება სხვა შთაბეჭდილებებში.

აკაკის დღესასწაული ყოვლის უწინარეს **ბუნებრივი** გამოხატულება იყო ქართველი ხალხის ეროვნულ მთლიანობისა. ამ წლის სექტემბერსა და ოქტომბერში პირველად ჩამოაგდეს სიტყვა საზოგადოებასა და პრესაში აკაკის 50 წლის მოღვაწეობის შესრულებაზე და ეს სიტყვა თითქოს თავის თავად გაიზარდა საიმედო თვის განმავლობაში ბრწყინვალე საერო დღესასწაულად. მთელი ერის სულიერ განწყობილებათა გამონასკვა ერის გულისთქმაში იმ დროს, როცა ზოგნი ქართველ ხალხის ვითომ სიკვდილისა გამო ძაძებში იმოსებიან, ზოგნი კი უცნაურის სიამაყით ამტკიცებენ, ერი ფიქტიური, ყალბი სოციალური მთლიანობაა, ნამდვილად მხოლოდ მოწინააღმდეგე და ერთმანეთის უარმყოფელი კლასსები არსებობენო, ასეთ დროს ბუნებრივი სულიერი შემოკრება მთელის ერისა აკაკის გარშემო —მჭერმეტყველური პროტესტი იყო ნაციონალურ პესსიმიზმის და კლასსთა ბრძოლის თეორიის უკიდურესობათა წინააღმდეგ. ამ მხრივ გადახდილი საიუბილეო დღესასწაული ნაციონალურ ენერგიის გამაძლიერებელი და გამამხნევებელია. დღესასწაულის დროს ხალხის გულში ანთებული ლამპარი უხვად აშუქებს იმ გზას, რომელზედაც თავისუფლად შეიძლება განვითარდეს მთელი ერის შემოქმედებითი ნიჭი. ეს გზა—ნაციონალურ ხელოვნების გზაა. აქ, ნაციონალურ ხელოვნების გზაზე ერის ყველა ელემენტს ერთგულად შეუძლიან ჩაჰკიდონ ერთმანეთს ხელი და ვერავითარი კლასსიური და წოდებრივი სხვადასხვაობა ვერ დაარღვევს მათს კავშირს. ჩვენის ღრმა რწმენით, ნაციონალური მთლიანობა მარტოოდენ ხელოვნებაში არ გამოიხატება, იმისი ასპარეზი გაცილებით უფრო ვრცელია, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. სხვა და სხვა შემთხვევითის და ისტორიულის მიზეზების გამო ამ ბოლო დროს ჩვენში თითქოს რაღაც ეჭვი დაიბადა ეროვნების შემაერთებელ მნიშვნელობის შესახებ; არავითარი საქმე, არავითარი საზოგადოებრივი დაწყებულება არა ყოფილა უკანასკნელ წლებში, რომ იმის ნიადაგზე კლასსიურ და პარტიულ განხეთქილებას არ ეჩინოს თავი. აკაკის იუბილეი ამ მხრივ პირველი საზოგადოებრივი ფაქტი იყო, რომლის წინაშეც განხეთქილებამ და სხვა და სხვაობამ კრძალვით დაიწია უკან. ხელოვნებას იდეამ მოჰკვეთა წინააღმდეგობა და ცხად ჰყო ეროვნული ჰარმონია. ორის თუ სამის განმარტოვებულად დარჩენილის ფანატიკოსის მეტს არავის არ უცდია ეროვნულ განხეთქილების დემონსტრაცია მოეხდინა საერო დღესასწაულის ნიადაგზე და იმათი ცდაც გაუბედავი იყო. ხელოვნებამ პირველმა დასძლია დოქტრინიორების ცალმხრივი უკიდურესობა. ამ ფაქტს ჩვენთვის სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს. ხელოვნების ნიადაგზე ხშირად წინასწარ იჩენს ხოლმე თავს ის აზრი, რაც შემდეგ ცხოვრების სხვა სფეროებში ჩნდება. და ჩვენ გვწამს, რომ ქართველ ხალხის ეროვნულ მთლიანობის საფუძველი ამას შემდეგ თან და თან გაიზრდება და გაფართოვდება.

გაზდა და გაფართოვება ნაციონალურ მთლიანობისა—აი, რა დირექტივს გვაძლევს აკაკის დღესასწაული. ეს დირექტივი არც ჩვენი მოგონილია, მკითხველო, არც თქვენი; ეს თვით ქართველმა ხალხმა დაიყენა თავის წინ და ვისაც ცხოვრების ალღო აქვს, ცხადად უნდა ჰხედავდეს მას. დღესასწაული გრძნობათა გამოხატულება იყო; დღესასწაულმა გამოაჩინა საერთო აზრი, რომელშიაც გამოინასკვის ერის სულისკვეთება, და ეხლა ამ საერთო აზრის განხორციელების ჯერი დგება. ძველებური სენტიმენტალური და ფსევდოკლასსიკური გაბერვა ნაციონალურ გრძნობებისა უკვე დრო გადასულია. ერის ნაციონალური მთლიანობა უნდა იხატებოდეს საქმით, პრაქტიკულ საქმით და არა მარტო ოდენ სამშობლოს თავზე მაღალ ფრაზების წამოსროლით. ყოველივე გრძნობა ჩლუნგდება და კვდება ან მწვერვალდება და ანგრევს თვით იმ გულს, სადაც ეს გრძნობაა ჩაბუდებული, თუ მას დროზე განხორციელების გზა არ მიეცა. ეს გზა განხორციელებისა, გზა პრაქტიკულ მოქმედებისა, რომელიც რეალურად შეასხავს ხორცს ერის სულიერ მთლიანობას, უნდა აღმოჩენილ იქმნას. უამისოდ აკაკის დღესასწაული იმ სინათლის წყაროს დაემსგავსება, რომელიც შუქს აფრქვევს, მაგრამ არ კი ათბობს.

დღეს პირველად არა ვლაპარაკობთ გაზეთის ფურცლებიდან ჩვენს მკითხველთან ქართველ ხალხის საერო საერთო საჭიროებათა შესახებ. ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რა მიგვაჩნია ჩვენ ასეთ საერთო საამდროვო საჭიროებად. ეხლა მხოლოდ ხაზ-გასმით აღვნიშნავთ, რომ საერთო საერო საჭიროებათა ნიადაგზე მოქმედებისთვის აკაკის დღესასწაულმა საუკეთესოდ შეამზადა ნიადაგი და ჩვენი დროის ისტორიული ვალია, ისარგებლოს ამ გარემოებით და ერთ რომელიმე ნაციონალურ საქმისთვის მაინც ჩაჰყაროს საძირკველი.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 დეკემბერი.

### სპარსეთი

**თეირანი.** საადუდ-დოულე დაინიშნა გარეშე საქმეთა მინისტრად. ფერმან-ფერმას წინადადება მიეცა წავიდეს გუბერნატორად ისპაჰანში.

**თეირანი** (ჯულფის ფოსტით). სალმასტის დასახმარებლად წასულნი ურმიის რევოლიუციონერები 17 დეკემბერს დაბრუნდნენ ურმიაში, სადაც მათ დიდის ამბით მიეგებნენ. ხოისა და სალმასტის მცხოვრებნი უკმაყოფილონი არიან რევოლიუციონერების მოქმედებით. ეს უკანასკნელნი მცხოვრებთა ხარჯზე სცხოვრობენ. არაფერი განსხვავება არ არის მართვა-გამგეობის მხრივ წინანდელ გუბერნატორებსა და ეხლანდელ ფიდაებს მიერ დანიშნულ მოხელეთა შორის. თითონ ურმიაში მშვიდობიანობაა, ხოლო გზებზე კვლავ ძარცვა-გლეჯაა. ადგილობრივ ენჯუმენსა და გუბერნატორს თათბირი აქვთ იმ საკითხის შესახებ, თუ რა ზომები მიიღონ წინააღმდეგ იმ ქურდებისა, რომელთა მხრივ გზაზედ ძარცვა-გლეჯის გაძლიერებაა მოსალოდნელი.

**თეირანი.** ფერმან-ფერმამ თანხმობა განაცხადა ისპაჰანის გუბერნატორობაზე. იგი ამ დღეებში თავის ვიცე-გუბერნატორს ჰგზავნის. რუსეთისა და ინგლისის მისიებმა ურჩიეს სამსამ-სალტანეს, ნუ შეუწყობს ხელს მდგომარეობის გამწვავებას და მიიღოს შაჰის მიერ დანიშნული გუბერნატორი. თეირანში რამდენიმე ქალი შეეცადა ბაზრების დაკეტვას, მაგრამ ჟანდარმებმა ხელი შეუშალეს.

**თავრიზი** (ჯულფამდე ფოსტით). სათარ-ხანმა ბრძანება გასცა, ჩამოართვან ადერბეიჯანის მამულები შაჰს, მის ცოლს და მდიდარს სუჯაულ-მულკას.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** ახალგაზდა ოსმალთა მედინის კომიტეტი დეპეშით იუწყება, რომ არაბთა მეამბოხეებმა მორჩილება გამოგვიცხადესო.

**სალონიკი.** ათონის ლავრის მონასტრის წინამძღვარი ქრიზოსტომი უცნობებმა მოჰკლეს.

**სტამბოლი.** საფრანგეთის საავადმყოფოში ბეირუთში 5 კაცი გარდაიცვალა შავი ჭირისაგან. ჯედეში კიდევ გახდნენ ავად შავი ჭირით.

### ბალკანეთი

**ბელგრადი.** „პრეს ბიურო“ აცხადებს: ავსტრო-უნგრეთის ელჩმა გრაფ ფორგაჩმა ინახულა მინისტრი მილოვანოვიჩი, რომ გაეგო ნამდვილი შინაარსი იმის სიტყვისა. გამოირკვა, რომ ამ სიტყვაში გერმანულად გადათარგმნის დროს შეცდომა შეპარულა: მინისტრს არ უთქვამს, რომ ბოსნია მიწურ პირობებში არის ჩაყენებულიო; მან სთქვა, რომ ავსტრიის მისიამ ბალკანეთში გადადგა პირველი ნაბიჯი სერბიის ორ პროვინციის დასაუფლებლად, მაშინ როდესაც რუსეთი ხელს უწყობდა, რომ ბალკანეთის ყველა სახელმწიფო თავისუფალი ყოფილიყოო. მინისტრის განცხადებაში მკაფიოდ არის გამოთქმული სერბიის მეტად მშვიდობიანი თვალსაზრისი და ამავე დროს მასში დაცულია ზრდილობა ავსტრიის მიმართ.

გენერალი ჟივკოვიჩი დაინიშნა სამხედრო მინისტრად.

**სტამბოლი.** იმ ხმებმა, ვითომ ავსტრიის მთავრობას ბელგრადიდან თავისი ელჩი გაეწვიოს, დიდი აურზაური მოახდინეს ბირჟაზე, მაგრამ სალამოზე მიღებულმა დამამშვიდებელმა ცნობებმა მდგომარეობა გამოაკეთეს, თუმცა ჯერაც არ არის მოსული ოფიციალური ცნობები.

**ვენა.** „კორ. ბიურო“ ბელგრადიდან დეპეშით ატყობინებენ: მთავრობის დავალებით, ავსტრო-უნგრეთის ელჩი შეეკითხა მინისტრ მილოვანოვიჩს იმ სიტყვის გამო, რომელიც მან წარმოსთქვა. მილოვანოვიჩმა შენიშნა, რომ გაზეთების ანგარიშებში სინამდვილით არ არის მოყვანილი ჩემი სიტყვაო. ამ სიტყვას მალე ოფიციალურად გამოვაქვეყნებთ და მანამდის საჭიროა თავი შევიკავოთო...

**ვენა.** „პოლიტიშე კორესპონდენტი“ სწერს: რუსეთის რწმუნებულმა სერებმა, ბოსნიიდან გაზეთ „ნოვოე ვრ.“ კორესპონდენტის ბერეზოვსკის გაძევების გამო გარეშე საქმეთა სამინისტროში განცხადება შეიტანა საპოლიციო ორგანოების მიერ წესის დარღვევის შესახებ. ბერეზოვსკი არის ამბობს იმაზე, ჰქონდათ თუ არა ამ ორგანოებს უფლება ასე მოქცეულიყვნენ. სამინისტრომ აღუთქვა საქმის იმ გარემოებათა განხილვა, რომელსაც მოჰყვა ეს ადმინისტრატიული საჯელი. თუ რა დასკვნას დაადგება გამოძიება, ამას შეატყობინებენ რუსეთის რწმუნებულს.

**ლონდონი.** რეიტერს ამოიდან დეპეშით ატყობინებენ: აქ მიიღეს ოფიციალური ცნობა მუკდენის ახლოს დაბანაკებულ ჩინეთის ჯარში მომხდარ არეულობის შესახებ. მეამბოხე ჯარისკაცებსა და მთავრობის მომხრე ჯარს შორის მომხდარა ბრძოლა, რომლის დროსაც მეამბოხენი დამარცხებულან.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობებით, ინგლისის მთავრობა მეტად სერიოზულ საქმეთა სთვლის იუანშიკაის გადაყენებით შექმნილ მდგომარეობას. ინგლისის ელჩსა და ინგლისის მთავრობას შორის აზრთა გაზიარებაა ჩინეთის მთავრობისთვის წარსადგენ ნოტის შესახებ. შიში აქვთ, უცხოელების ინტერესები საფრთხეში არ ჩავარდესო.

### რუსეთი

**ფეოდოსია.** შაბათ ღამეს რუსეთის საზოგადოების საბარგო გემი „სვიატოსლავი“ დაიღუპა თუაფსესა და ნოვოროსსიისკს შუა. დაიხრჩო 34 კაცი, გადარჩა 4.

**გროდნო.** 22 დეკემბერს ღამე ბრესტის მაზრაში ნურეცის მამულში მოჰკლეს გრაფინია რაინიკორი.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ გაარჩია ორი საქმე ფინლიანდიის შესახებ: ერთი იყო ფინლიანდიის სენატის მიერ წარდგენილი 1907 წლის სეიმის უქვეშევრდომილესი მოხსენება ფინლიანდიის ხაზინას თანხების მდგომარეობის შესახებ და მეორე უქვეშევრდომილესი პეტიცია 1907 წლის სეიმის ფინლიანდიაში მართვა-გამგეობის ახალ წესწყობილების შემოღების შესახებ. მინისტრთა საბჭომ შესაძლებლად არა სცნო ამ საქმეების ხელმწიფესთან წარდგენა, რადგან იმ სეიმმა, რომელმაც ამ საქმეების გამო აღძრა საკითხი, იურიდიული მნიშვნელობა დაჰკარგა, რაკი ვადაზე ადრე იქმნა დათხოვნილიო. მინისტრთა საბჭომ, თანახმად ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის აზრისა, უყურადღებოდ დასტოვა სენატის მიერ წარდგენილი წესი, რომლითაც ის საკითხები, რომლებიც შეეხებიან ფინლიანდიისა და იმპერიის ინტერესებს, უნდა განხილულიყვნენ ფინლიანდიისა და რუსეთის წარმომადგენელთა განსაკუთრებულ საბჭოებში.

**მოსკოვი.** ღამით ციმბირის სწრაფი მატარებლით ჩამოვიდა შვედელი მოგზაური სვენ-ჰედინი. ხვალ პეტერბურგს მიდის.

გენერალ-გუბერნატორმა 3000 მანეთით დააჯარიმა გაზ. „ვეჩე“ წერილის დაბეჭდვის გამო ამ სათაურით: „შეთქმულება ურიებისა (ჟიდებისა) და მასონებისა“.

სკორბიაშჩენსკის მონასტერში დაკრძალეს სახელმწიფო სათათბიროს წევრის პლევაკოს ცხედარი. დაესწრნენ სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი, სათათბიროს რამდენიმე წევრი, ქალაქის თავი, ქალაქის წარმომადგენელნი და ვექილები. წარმოსთქვეს სიტყვები.

## აკაკის იუბილეს გამო.

1908 წლის 7 დეკემბერი დიდი დღე იყო ქართველ ერისათვის. ამ დღეს მან იდღესასწაულა საყვარელ მგოსნის 50 წლის იუბილეი. ბედნიერია ის კაცი, რომელსაც 50 წლის ღირსეულ და დაუღალავ მუშაობის შემდეგ თავის თვალით შეუძლიან დაინახოს თავისი ერის კულტურული გაღვიძება; ბედნიერია ის ერიც, რომელსაც შეუგნია თავის სიამაყის პატივის-ცემა.

ეს დღე ყველა ჩვენთვის სასიხარულო იყო, ყველანი გვეცოცხლდით, აღვფრთოვანდით, მაგრამ მე, როგორც ქა-

## ფელეტონი

### მგზავრის შენიშვნები

IV

**ოსმალეთის პარლამენტის გახსნა.**

გულითა მსურდა ოსმალეთის პარლამენტის გახსნაზე დასწრება, მაგრამ ბედმა არ შემისრულა ეს სურვილი.

ამ არა ჩვეულებრივსა და საკვირველ მოვლენას ისე მიეგება მთელი ქვეყანა, იმდენი ხალხი მიაწყდა დიდ-სავეზიროს თხოვნითა და მუდარით—ნება ჩვენც მოგვეცით დავესწროთ დიდ დღესასწაულსაო, იმდენი „დიდი“ და პატივცემული კაცი“ აწუხებდა თხოვნით ყველას, ვისაც რაიმე დახმარების აღმოჩენა შეეძლო, რომ ჩვენისთანა წვრილფეხა ადამიანს, რუსულ-ქართულ პრესსის წარმომადგენელს, ვინ მიაქცევდა ყურადღებას!

იმედი მაინც არ დავეკარგავს მე და ერთ ჩემს ამხანაგს, ქართველ მუსულმანს, რომელსაც აგრეთვე ჰქონდა ქართველი ჟურნალისტობის კარტა. ჯერ მივმართეთ ჟურნალ „ტანინის“ რედაქციაში რედაქტორს, ჰუსეინ-ჯაჰიდ-ბეის, რომ რაიმე ან დახმარება აღმოეჩინა, ან ესწავლებინა გზა და საშუალება პარლამენტში შესვლის ნებართვის აღებისა. მან გვითხრა, მსურველი აუარებელია, ადგილი კი ცოტა, არ ვიცი, როგორ იქნება საქმე; ყოველ-შემთხვევაში სამინისტროში იკითხეთ, იქ მოგცემენ ნამდვილ პასუხსაო. წავედით სამინისტროში. მეორე დღისთვის დაგვიბარეს, მეორე დღეს კი ცივი უარი გვტკიცეს—ყველასთვის არ არის ადგილიო. გაზეთშიაც იყო იმ დღეს გამოცხადებული, რომ რადგან პარლამენტის გახსნას უნდა დაესწრას დიპლომატიურ კორპუსის ყველა წარმომადგენელი, აგრეთვე ოსმალეთის დიდი მოხელენი და სხვანი მრავალნი, პრესსისთვის ადგილი ძლიერ შეზღუდულიაო. თვითონ თათრულ გაზეთს ეყოლებოდა მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. ბერძნულ და სომხურ გაზეთთაგან სამ გაზეთს ეყოლებოდა მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. უცხოელ ჟურნალთაგან კი მხოლოდ ერთ კორრესპონდენტს ჰქონდა კარტა ყოველ ექვს გაზეთზედ. რასაკვირველია დიდებს ჰხვდათ წილად ეს ბედნიერება, პატარები კი გარედ დარჩნენ. აბა ქართული პრესსა ვილას მოაგონდებოდა ასეთ პირობებში! იგი ჯერ ერთი უცხოელია და მეორე—პატარა ერისა. პირადად მე კი ვერ შევიდოდი პარლამეტში, ათასი პრივილეგიაც რომ მიეცათ ქართულ პრესსისათვის, რადგან ერთი რამ იყო საჭირო, რასაც მე ვერასოდეს ვერ შევასრულებდი ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

დავრჩი გარედ და გადავწყვიტე, გარედან მაინც მეყურებინა, რა ამბავი მოხდებოდა 17 (4) დეკემბერს, პარლამენტის გახსნის დღეს.

წინა დღეს წვიმა იყო. ხუთშაბათს, 17 დეკემბერს კი მშვენიერი დილა გათენდა. მზე იყო და თბილოდა. ცრუ-მორწმუნე კონსტიტუციონალისტს ალბად რაღაც განგებისაგან მოვლენილი ეგონებოდა სწორედ ამ დღეს ასეთი მშვენიერი დილა, და მართლაც აუარებელ ხალხით აივსო სტამბოლის ის ქუჩები, რომელზედაც სულთანს უნდა გაევლო პარლამენტში მოსვლამდის.

სამი ქართველი ერთად წავედით პერიდან სტამბოლში, სადაც პარლამენტია, აია-სოფიის მახლობლად. შეუძლებელი იყო ხალხის გარღვევა ქუჩაში და პარლამენტის მიხლოვება, მაგრამ მაინც გავიჭირვეთ საქმე და ძლივს მივაღწიეთ აია-სოფიის კარებამდე. ახლო-მახლო სახლის თავები, აგრეთვე აია-სოფიის თავი სულ სავსე იყო ხალხით. წინა ადგილები ქალებისათვის დაეთმოთ და ზევიდან პირ-ახდილი თათრის ქალები გადმოიყურებოდნენ. ჩვენ, როგორც იყო, გავიარეთ აია-სოფიის ეზო, გავედით ვიწრო ქუჩაში, სადაც პარლამენტია, და შიგ შუა-გულ ხალხში გავიჭედეთ, გავჩერდით ზედ პარლამენტის ჭიშკრის გვერდით, მარცხნივ. ამ ჭიშკრიდან უნდა შესულიყვნენ სულთანი და დეპუტატები. ჯარი შესამჩნევად იცავდა წესიერებას, ზრდილობიანად და მშვიდობიანად, უხმაუროდ. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, თვით ბრბო სტამბოლში სამაგალითო ყოფილა ასეთ შემთხვევებში. იგი თვითონ იცავდა სამაგალითოდ წესიერებას. არც ჩხუბი, არც გინება, არც ღრიალი, არც განგებ ერთმანეთის გაჭყლეტა. უმთავრესი მიზეზი ამისი, ჩემის ფიქრით, ის არის, რომ მუსულმანები არა სმენ და ის ბრბო, რომელიც უმეტესად მუსულმანთაგან შესდგება, გაცილებით უფრო მშვიდობიანია სხვებზედ, თუ, რასაკვირველია, იგი რომელიმე ცუდი მიზნით არ არის გამოსული ქუჩაში, ფანატიზმით გატაცებული. რუსეთში ან ჩვენში რომ ამდენი ხალხი შეჰყარო, უსათუოდ ნახევარი მთვრალი იქნება და საქმე ან „პოგრომით“ გათავდება ან პატარა კინკლაობით მაინც. აქ კი მშვიდობიანად ვიდექით და ველოდით.

სულთანმა თურმე გამოიარა თავის სასახლიდან აიაზ-ფაშა, ნიშანტაშე, იენი-მაჰალე და ფლამპური და შემოვიდა პანკალდის დიდ ქუჩაში, მერე პერის დიდ ქუჩაში, შემდეგ გაიარა დიდი ხიდი, ზეირეკი, ვეფა, შაჰზადებაში, დივან-იოლუ და ამ გზით მოვიდა პარლამენტის კარებთან. ქუჩები ჯარით იყო სავსე და ეს ჯარი, რასაკვირველია, სამხედრო სალამს აძლევდა. სულთანს თან ახლდნენ ცოლები და შვილები მდიდარ ეტლებში. თვითონ სულთანი თავის მშვენიერ ეტლში იჯდა. დიდ ვეზირსა და პრინც ბუხჰანედდინ-ეფენდისთან ერთად და ეტლითვე შევიდა პარლამენტის ალაყაფის კარებში. ასე ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა. ჩვენც კარგად დავინახეთ მისი არწივისებური მრისხანე სახე. წვერი შეღებილი აქვს შავად და ეს კიდევ უფრო საშინლად ხდის მის ისედაც მკაცრ გამომეტყველებას. ჯარი და ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება სულთანს. დაუსრულებელი ყვირილი იყო „ფადიშაჰიმ ჩოკ-იაშა“-სი. სანამ სულთანი მოვიდოდა, რიგ-რიგად დეპუტატები შედიოდნენ ჭიშკარში, მათაც უყვიროდნენ „იაშა“-ს, მაგრამ სულთანის სალამი მაინც განსხვავებული იყო. სულ ცეცხლივით უბრწყინავდა ყველას თვალები. ძველი ჩვეულება ასე ადვილი ამოსაფხვრელი არ არის, არც ძველი შიში და მორიდება ჰქრება ასე მალე! ეს იყო, რაც თვალითა ვნახეთ.

როცა მიწვეული უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მივიდნენ და სულთანიც იქ იყო, მაშინ აღასრულეს დადებული წესებიც. შემდეგ სულთნის მდივანმა წაიკითხა სეფე-სიტყვა, მაგრამ ამ სეფე სიტყვაში სრულებით არა იყო-რა. მან ფიცი-კი არ მიიღო პარლამენტის ერთგულებისა—ამ ოცდათორმეტი წლის წინად რომ მიიღე, ისიც კმარაო. ამისი კმაყოფილნი არ არიან ახალ-გაზრდა ოსმალნი და ვნახოთ, რითი გათავდება ეს საქმე. შეიძლება მიაღებინონ ხელ ახლა ფიცი, შეიძლება დაუთმონ.

1877 წლის სეფე-სიტყვა უფრო შინაარსიანი იყო. მოვიყვანოთ ეს ძველი სიტყვა და შევადაროთ ახალს, რომ დიდი განსხვავება მაშინვე დავინახოთ. ჩამოსთვალა რა მამა-პაპათა ღვაწლი, აბდულ ჰამიდმა სთქვა: „ეჭვს გარეშეა, რომ განგებამ ძალა და სიმდიდრე მისცა ჩვენს ქვეყანას, იმდენი ნიჭი ჩემს ქვეშევრდომთ, რომ ძლიერ ცოტა ხანში დიდ პროგრესს განვახორციელებთ კარგის მართვა-გამგეობის წყალობით. თუ აქამდის ვერ გავუთანასწორდით განათლებულ ხალხებს, ამისი მიზეზი სახელმწიფოს მოუწესრიგებლობა იყო, რაიც გამომდინარეობდა ხალხის საერთო საქმეთა შესახებ საერთო მსჯელობის უარ-მყოფელ აბსოლიუტიზმისაგან. პროგრესსი, რომელიც განახორციელეს განათლებულმა სახელმწიფოებმა, ამ სახელმწიფოების სიმდიდრე და თავისუფლება იმას უნდა მიეწეროს, რომ კანონთა შედგენაში და ქვეყნის მართვა-გამგეობაში ყველა იღებს მონაწილეობას. მე საჭიროდ ვცანი, გამომენახა ჩვენთვისაც საშუალება გაუმჯობესებისა, და ამიტომ გამოვცვალე სისტემა კანონმდებლობისა — გამოვაცხადე საყოველთაო არჩევნები, ხალხს მივანიჭე კონსტიტუცია. ამ ახალ დაწესებულებებით ჩემი მიზანი მაინცა და მაინც ის კი არ იყო, რომ ხალხი მომეწვია საქმეთა საერთო განსაგებად, არამედ ის, რომ ეს დაწესებულებანი იარაღად გამომეყენებინა რეფორმათა განსახორციელებლად და აგრეთვე ბოროტ-მოქმედებათა მოსასპობად. გარდა იმისა, რომ კონსტიტუციას აქვს თვით შინაგანი ღირსებანი და უპირატესობანი, იგი საფუძველს ჩაჰყრის ყველა ჩემ ხალხის შორის ძმობისა და ერთობისას, რომ ყველამ თანასწორად ისარგებლოს დამკვიდრებულის კეთილდღეობით. ჩემმა დიდებულმა წინაპრებმა დიდი ბრძოლით მოაქციეს ერთ სკიპტრას ქვეშ მრავალი ხალხი, რომელიც სცხოვრობს ამ დიდ იმპერიაში. საჭირო იყო მხო-

როველს, ეხლავე ერთი რამ მაგონებს და მაფიქრებს.

ჩვენ, ქართველები, როგორც სამხრეთის შვილნი, სულ ადვილად აღვიზნებით ხოლმე, შევხურდებით: მზათ ვართ ერთ წამს მთელი დედამიწა გადავუხვიოთ, აგრეთვე ცამდე. ჩვენ ძლიერ გვიტაცებს ლამაზი და დიდი იდეები, მაგრამ ამასთან მალე გვეცვლება ფრთები, მალე ვწელდებით და გვერდს ვუხვევთ ამ ლამაზ იდეებს. ის, რაც დღეს იტაცებს და იპყრობს ჩვენს არსებას, ხშირად ხვალისათვის გვავიწყდება. მოვიგონოთ, რა ამბით ვიდღესასწაულეთ საყვარელ მგოსნის რაფიელ ერისთავის 50 წლის იუბილეი. რა არ ვუთხარით იმ დღეს მგოსანს, რას არ დავპირდით, რით არ შევამკეთ მისი სახელი! მთელი საქართველო შეეძახით იმ დღეს: გვინდოდა ღირსეულად აღვენიშნა ჩვენი ღრმა პატივისცემა „ვითომდა" დაუვიწყარ რაფიელისათვის! მოვიგონოთ, რა დიდის ამბით მივაბარეთ იგი უღმობელ მიწას სოფ. ქისტაურში და როგორ ვებებოდა მისს კუბოს სხვა თელავიდან დაწყებული ქისტაურამდე! ეხლა კი რას ვხედავთ? Horribile dictu! უბრალო გალავნის-კი ვერ შემოვავლია ძვირფასს საფლავისათვის და უბრალო ქვაც ვერ დავადგით მასზე... ერთ წელზე მეტია, რაც ვერაგულად მოჰკლეს საქართველოს სული და გული ილია. რა ამბავში ვიყავით მკვლელობის და მერე დამარხვის დღეს? მაგრამ აი გავიდა ამდენი ხანი და ეხლა ნელ ნელა ვცივდებით და ჯერა მოგვეხსენება რა რამე სათავადასხნოს გაკეთება მისს სახელობაზე... მოვიგონოთ, რა ვუყავით ა. ყაზბეგს, ნინოშვილს და სხვა ჩვენს სასიქადულო მამულიშვილებს!

რაა ყველა ამისი მიზეზი? ჩვენი დაუდევრობა, შეუგნებლობა და სხვა არაფერი. ქართველი ხალხი, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ ვერ იცნობს თავის სასიქადულო შვილებს. ნუ თუ სატირალი არ არის, რომ სოფ. ყვარელი, სადაც დაბადებულა ილია, თურმე გარკვევით ვერც კი იცნობდა მას? „ილია მდიდარი თავადიშვილი ყოფილა, ქალაქში ცხოვრობდაო", აი რას გიპასუხებთ თურმე კახელი სოფლელი, როდესაც გამოჰკითხავ მას ილიას ვინაობას... ამ გვარ მოვლენაში, რასაკვირველია, დანაშაულია მოწინავე საზოგადოება, დამნაშავენი ვართ ჩვენ, ინტელიგენტნი. მასსა ბრბოა. იგი ხშირად მალე აღიგზნება. ამის მაგალითს ბევრს ვხედავთ სხვა და სხვა მოძრაობაში, მაგრამ ამასთან ის მალეც ჰკრავს ფრთებს, მისი გონება ვერ სწვდება არა ჩვეულებრივ მოვლენას. იგი ადვილ ტაცებით ეტანება მას, მაგრამ კმაყოფილდება გარეგნულ ფორმებით და ვერა სძლევს მისს შინაარსს. ამ გვარია მისი ფსიხოლოგია და ამას ასაცილებლად საჭიროა ცოდნა და ცოდნა...

7 დეკემბერს მთელი ქართველი ერის აზრი შეერთდა და მძლავრად იფეთქა საყვარელ მგოსნის დრის საყვარელით. ვისურვოთ, რომ ეს ერთიანობა და ძლიერება არ დაქვეითებულიყოს შემდეგში. ესაა ჩვენი ნატვრა...

დ. ახვლედიანი.

**„დროების" კანტორისაგან.**

**ძველ ხელის-მომწერლებს პირველ იანვარიდან გაზ. „დროება" აღარ გაეგზავნებათ.**

**„დროების" კანტორა ღია იქნება დღეს, კვირას, 10 საათიდან 2-მდე, საქმე დღეს კი დილით 9—3 ს., საღამოთი 5—8 საათამდე.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

→ **სამხედრო წესები.** გაზეთებში და მათ შორის ჩვენშიაც გამოქვეყნებული იყო ხმა, რომ ახალი წლიდან ბევრგან სამხედრო წესებს ხსნიანო. ეხლა გაზეთი „რეჩი" სწერს: ტყუილი გამოდგა ხმები, ვითომ მთავრობას ჰსურდეს, ახალ-წლიდან ბევრგან სამხედრო წესების ნაცვლად გაძლიერებული წესები შემოიღოსო.

→ **ისტორიული საღამო.** უკვე ვწერდით, რომ „განათლების" საზოგადოების სასარგებლოდ ხვალ, 29 დეკემბერს, ტფილისის კრუჟოკის დარბაზში გაიმართება „ისტორიული საღამო". წარმოდგენილი იქნება ისტორიული სცენები ცეკვითა და სიმღერით: 1. ტარრი ვესტალი, 2. მთვარიანი ღამე ვერსალის ბაღში, 3. რუსული „კალიადა", 4. დედოფალი ქეთევანი შაჰის წინ, 5. სცენა არშაკ მეორის ცხოვრებიდან, 6. რუსტემ და ზორაბი. გამოსვლა ბერძნულ, რომაულ, ფრანგულ და სხვა ისტორიულ ტანისამოსში. დარბაზში გამართული იქნება ბუფეტი და ფარდული სხვა და სხვა ისტორიულ ეპოქის სტილზე. საზოგადოდ საღამო ფრიად საინტერესო იქნება.

→ **მეტეხის ქუჩაზე მიმოსვლის აკრძალვა.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლითაც აიკრძალა მეტეხის ქუჩაზე მიმოსვლა შებინდებიდან გათენებამდე. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს დაჯარიმებენ სამას თუმნამდე ან დააპატიმრებენ სამ თვემდე.

→ **დეპუტატ პურიშკევიჩის სიტყვის გამო.** პურიშკევიჩის სიტყვის გამო ნამესტნიკს მრავალი დეპეშა მოსდის, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებენ ნამესტნიკს და პროტესტს—პურიშკევიჩს. სხვათა შორის თანაგრძნობის დეპეშები მიიღო: ქუთაისის თავად-აზნაურობისაგან, ქუთაისის ქალაქის თავისაგან, ბათუმის ქალაქის თავის მოადგილისა და ზოგიერთ ხმოსნებისაგან და სხვათაგან. ტფ. თავად-აზნაურობამაც გამოუცხადა ნამესტნიკს თანაგრძნობა.

→ **სავალდებულო დადგენილებანი.** ტფ. გენ.-გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილებანი, რომლითაც გორის, თელავის, სიღნაღის და ახალციხის სახლის პატრონებს დაევალათ მიაკრან თავიანთ სახლებს ლითონის ფიცრები ნომრის აღნიშვნით და დაჰკიდონ ფარნები ნომრისა და ქუჩის აღნიშვნით. ეს ფარნები საღამოდან გათენებამდე უნდა ენთოს. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს დაჯარიმებენ სამას თუმნამდე ან დააპატიმრებენ სამ თვემდე.

→ **„ალბიურის" იუბილეი.** წარსულ სამშაბათს, საარტისტო საზოგადოების თეატრში გადაიხადეს 25 წლის იუბილეი საყმაწვილო ჟურნალის „ალბიურის" არსებობისა. მონაწილეობა მიიღო 30 დეპუტატამდე. ესენი იყვნენ წარმომადგენელნი სომხების სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებებისა.

→ **ქართული საღამო ბათუმში.** ბათუმში ყოველ წლიწადს ნინოობა დღეს, 14 იანვარს, იმართება ქართული საღამო ადგილობრივ ქართული სკოლის სასარგებლოდ. წელსაც გაიმართება ასეთი საღამო. ადგილობრივი საზოგადოება უკვე შესდგომია სამზადისს.

→ **საიუბილეო დღესასწაული სოფლად.** წინა ნომრებში უკვე აღვნიშნეთ, რა დაბა-ქალაქებსა და სოფლებში გადაიხადეს აკაკის საიუბილეო დღესასწაული. დღესასწაული გადაიხადეს კიდევ შემდეგ ადგილებში სოფ. ქვემოჭალაში (გორის მაზრა), სოფ. ღნირში (ქუთ. მაზრა), სოფ. პატარძეულში (ტფ. მაზრა) და ქალ. ახალციხეში.

→ **ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა.** ხვალ, 29 დეკემბერს, მოხდება ჩვეულებრივი სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. განსახილველია 20-მდე საქმე.

→ **ლექცია.** დღეს, 28 დეკემბერს, პუშკინის ბიბლიოთეკის სადგომში ექიმი ე. გ. ფიოდოროვი წაიკითხავს რუსულ ენაზე ლექციას ამ თემაზე: „სამუშაო სხეულები ადამიანის ტანში და მათი მნიშვნელობა როგორც ორგანიზმის დამცველებისა". ლექცია დაიწყება დილის 11 საათზე.

→ **გაზეთის განახლება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის მიერ დაკეტილ გაზეთის „ნოვოსტი ზაკავკაზიის" რედაქციას ადმინისტრაციამ ნება დართო განაგრძოს გაზეთის გამოცემა. 25 დეკემბერს უკვე გამოვიდა ნომერი.

→ **უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად.** პროფ. ა. ს. ხახანაშვილმა შეატყობინა დეპეშით უმაღლეს კურსებს კავკასიის შესასწავლად, რომ მან გადასდო თავისი ლექციები ტფილისში შემოდგომისათვის.

→ **„ფასკუნჯი".** 25 ამ თვეს გამოვიდა „ფასკუნჯის" მე-8 ნომერი შემდეგის შინაარსით: განდეგილისა: „პოეტის ფიქრი", ა. შანშიაშვილისა: „მთვარიან ღამეს". ვაჟა-ფშაველასი: „ეშმაკი". ი. ჰაჭკავაძისა: „კაკო". ს. მგალობლიშვილისა: „ორი მეზობლის ისტორია". ანკარასი: „ლერწამი". რიჟ-ბაბასი: „უცნობნი". ახალი ამბავი.

→ **საჯარო ვაჭრობის გადადება.** 15 იანვრისათვის დანიშნული იყო ბაქოში საჯარო ვაჭრობა ნავთიან ადგილების გასაცემად. ვაჭრობის მინისტრის განკარგულებით საჯარო ვაჭრობა 26 მაისისათვის გადაიდო.

● ფოთის ქუჩაზე ერთს ოჯახში სტუმრად მყოფ ანასტასია კაზაკოვთან 25 დეკემბერს საღამოთი მისულა მისი სიძე მათე კიტაევი და მოუთხოვნია სიძედრისათვის თავისი ცოლი, რომელიც კიტაევს გაჰქცევია. კიტაევს უარი მიუღია სიძედრისაგან, რის გამოც დაუწყია ამ უკანასკნელისთვის ცემა. კაზაკოვის ქალს მიშველებია მაზლი. კიტაევს ამოუღია რევოლვერი და დაუჭრია ცოლის ძმა ანდრიანე კაზაკოვი. კიტაევი დააპატიმრეს.

● რადგან 21 დეკემბრისთვის დანიშნული ხმათ არჩევა არ მოხდა, ამიტომ ტფ. ნიკოლოზის ეკლესიის კრებული ხმოსნებს მოიწვევს კვირას, 28 დეკემბერს, დილის თერთმეტ საათზედ ხმათ ასარჩევად.

● 26 დეკემბერს პოლიციის მესამე ნაწილში ცრიჟილიანის ქუჩაზე ტფ. მცხოვრებმა მეტაკომ მთვრალმა რევოლვერი დაახალა მეზობელს ალექსი მისკინს და შემდეგ თავი დაიჭრა შუბლში. დაჭრილები სავადმყოფოში გაგზავნეს.

● ტფ. დროებით გენ.-გუბერნატორის განკარგულებით სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ერთი თვით დაპატიმრება და შემდეგ ტფ. გენერალ-გუბერნატორიდან გაძევება მიესაჯა მიხეილ მაიაძეროვს.

● ივანე ხვანიძის სამკერვალოში (ლორის-მელიქოვის ქუჩა) მოპარულის გასაღებით შეპარულან ქურდები და გაუტანიათ 472 მანეთის საქონელი.

● პოლიციამ 25 დეკემბერს, დააპატიმრა ტფილისის მაზრის მცხოვრები ჰუსეინ ყული-აზიზ-ალი-ოღლი, რომელსაც ბრალდება სხვებთან ერთად ხირაჯზანის დაზმართზე ქალაქის მცხოვრებ ნიკიფორე კალინინზე თავდასხმა და სასიკვდილოდ დაჭრა.

## არჩილ ჯაფარიძის დაკრძალვა

დაკრძალვა ცხედრისა მოხდა ტფილისში 26 დეკემბერს.

როგორც უკვე ვწერდით, განსვენებულ არჩილ ჯაფარიძის გვამი კურსკიდან ბაქო-ბალაჯარის გზით მოასვენეს ტფილისში 24 დეკემბერს დილით. სადგურზე ცხედარს მრავალი ხალხი მიეგება. 12 საათზე ცხედარი რკინის გზის ლაზარეთის სამლოცველოში გაასვენეს და ნაშუადღევის 4 საათზედ პანაშვიდი გადაიხადეს.

დაკრძალვის დღედ დანიშნეს 26 დეკემბერი. ამ დღეს ლაზარეთთან დილითვე მოიყარა თავი ხალხმა. კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა. აღვნიშნავთ ზოგიერთებს: სახელმწიფო სათათბიროს ს.-დემ. ფრაქციისაგან; რ. ს.-დ. პარტიის საოლქო კომიტეტისაგან, ტფ. კოლექტივისაგან, ტფ. 6 რაიონულ ორგანიზაციისაგან (ცალ-ცალკე), ჰიათურის მუშებისაგან, რკინის გზის დეპოს მოსამსახურეებისაგან, ტფ. დეპოს მუშებისაგან, საქ. სოც.-ფედერალისტთა პარტიისაგან, ამხანაგთა ჯგუფისაგან, ახალგაზდა ქალებისაგან, თანამოაზრე ქალთა წრისაგან, ქართველთა ამხანაგობის სტამბის მუშებისაგან, ჰიათურის საზოგადოებისაგან, ტფ. ლუდის ქარხნის მუშებისაგან, სადგურ ტფილისის კონდუქტორთა კავშირისაგან, გაზ. „ალი"-ს რედაქციისაგან, რკინის გზის მოსამსახურეთა ერთი ჯგუფისაგან, გუმბრის ამხანაგებისაგან, ფოთელ ამხანაგებისაგან, „ტფილ. ლისტოკის" ასოთ-ამწყობთა ჯგუფისაგან, კახეთის მევენახე გლეხთა ამხანაგობისაგან, ტოლლეს ქარხნის მუშებისაგან, ტფ. პარიკ-მახერ მუშებისაგან, რაჰა-ლ ეხნუმის მუშათა ჯგუფისაგან, შუა-ბაზრის მუშებისაგან, პოლიტიკურთა დამცველ ვექილებისაგან, ადელხანოვის ქარხნის მუშებისაგან, ბათუმის მუშებისაგან, გორელ ამხანაგებისაგან, თამამშევის ქარვასლის ნოქრებისაგან, ტფ. ნოქრებისაგან, ტფ. ხელზე მოსამსახურეებისაგან, ენფიაჯიანცის ქარხნის მუშებისაგან, სოფელ ხაშმის გლეხთა ჯგუფისაგან და სხვ. სულ სამოცზე მეტი გვირგვინი იქნებოდა.

ათი საათი შესრულდა, როდესაც რკინის გზის ლაზარეთის სამლოცველოთაგან პროცესია დაიძრა. კუბო სულ ხელით მოჰქონდათ. პროცესია ელისაბედის ქუჩით წამოვიდა. ბაქოს ქუჩით უნდა ჩაეხვიათ მიხეილის პროსპექტზე, მაგრამ ნება არ დართეს. სადოვოი ქუჩის პირდაპირ შეუხვიეს ნიკოლოზის ქუჩაზე. ქუჩა-ქუჩა ბევრი ხალხი ემატებოდა, ასე რომ ქვაშვეთის ტაძართან რამდენიმე ათასი კაცი და ქალი შეიკრება. მიუხედავად დიდძალ ხალხისა, წესიერება ოდნავაც არ დარღვეულა.

ქვაშვეთის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი გადაიხადა ქვაშვეთის ეკლესიის კრებულმა. პანაშვიდი დასრულდა ნაშუადღევის 1 საათზე. ცხედარი ტაძრიდან გამოასვენეს ქალებმა. პროცესია ბარიათინსკის ქუჩით და ავჭალის ქუჩით გაემართა წმ. ნინოს სასაფლაოსაკენ. ნაშუადღევის 2 ნახ. საათი იქნებოდა ცხედარი მიასვენეს სასაფლაოზე, სადაც მცირე პანაშვიდის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს. ნაფ. ვექილის თანაშემწე ივ. კახუხოვი ვრცელისა და მხურვალე სიტყვით გამოესალმა განსვენებულს. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე წარმომადგენლებმა ფოთელ ამხანაგებისა, ჰიათურის საზოგადოებისა, ტფილისის წვრილ ვაჭართა და ხაშმის გლეხთა ჯგუფისა წარმომადგენლებმა, ქ-ნმ. ხერხეულიძემ და სხვებმა.

ნაშუადღევის 4 საათი იქნებოდა, ხალხი დაიშალა.

## სახალხო სამუსიკო სკოლა ტფილისში.

ტფ. მემუსიკეთა საზოგადოებას გადაუწყვეტია დაარსოს ტფილისში სახალხო სამუსიკო სკოლა, ისეთი, როგორც არსებობს პეტერბურგსა და მოსკოვში. ამ სასწავლებელში ღარიბ ხალხსაც შეეძლება, ხელმისაწვდომ ფასის წყალობით, შეისწავლოს სამუსიკო ხელოვნება. განა ლაპარაკი უნდა იმას, თუ დღითი დღე როგორ იზრდება, საზოგადოდ, ხელოვნების მნიშვნელობა დღევანდელ ჩვენ გათახსირებულ და გაჭირვებულ ცხოვრებაში და, კერძოდ, რა ხელს აღმზრდობა და მანუგეშებელი მუსიკა ადამიანისთვის! ეს კარგად ექნება გათვალისწინებული ყველას იმას, ვისაც, ერთის მხრივ წარმოუდგენია და უგვრნია ცხოვრების უბედობა, ბეჩაობა, დაჩაგვრა, დამონავება, ცხოვრება—თავის ქარტეხილით დაუდგრომელობით და, მეორეს მხრივ,—ნუგეში საიმედო მოღვაწეობისა, ძმობისა სათნოების საყვარლობის, ნუგეში შორს მიფრენით თავშესაფარისა ამა სოფლის ამაოებისა და გაუტანლობისაგან, რომელსაც უქადის სულიერად ამამაღლებელი ხელოვნება თავის სიმშვენიერით, სიკეკლუცით, მომხიბლავ-მიმზიდველ თვისებებით.

დას, იმას მოეხსენებოდათ, რომ ქვეყნის ...ლისში არსებობს სწორედ ამისთანა სასწავლებელი და ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ხელოვნება დღეს საზოგადოდ გარდაქცეულა, იგი მხოლოდ შეძლებულ კლასთა ხილია. დღეს მემუსიკეთა საზოგადოების განზრახვა გვანუგეშებს, რომ იქნება დრო დადგეს, როცა ხელოვნების ეს დარგი თავის ცხოველმყოფელ მანუგეშებელ სხივით შეამუქებს დავრდომილის ოჯახშიაც.

აი, დღეს, საარტისტო საზოგადოების დარბაზში ტფ. მუსიკის მოყვარეთა საზოგადოების მიერ დანიშნულია კონცერტი, რომლის შემოსავალიც უნდა მოხმარდეს სწორედ ამ სასწავლებლის დაარსების საქმეს. ეჭვი არ არის ვინც თანაუგრძნობს ხალხის განათლების საქმეს, ის არც დაიშურებს თავის წვლილს, მიიტანს კონცერტზედ, სახსარს გააძლიერებს საზოგადოებისას და მით შეძლებას მისცემს განახორციელოს ეს დიდი სახალხო საქმე.

სახალხო სამუსიკო სკოლა გაიხსნება მომავალ იანვარშივე (1909 წელს); მასწავლებლებად მიწვეულნი არიან საუკეთესო ადგილობრივი მოღვაწენი; მაგ., ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიან დ. ფ. კანი, მ. ი. ღასიეველასი, გაუზენი და სარაჯევისა; სკრიპკაზე ცნობილი პედაგოგი და ვირტუოზი სკრიპკისა მ. ტ. ვასილიევი, ვინც კონსერვატორიაში კურს დამთავრებული გ. დ. გროსსმანი, გ. ქ. ბეკენინი, ა. ა. ვიტოვი; ალტზედ—ა. ტერ-ოჰანეზოვი და პრესსმანი; ვიოლონჩელზედ—ცეიდლერი; კონტრაბასზედ—ბ. კოზპე; ფლეიტაზე—ვილგემანი; კლარნეტზედ—ფიანერი; ვალტორნაზედ—ზ. მაშნერი. სიმღერის მასწავლებ.: ი. ი. რატიეი, ე. ი. მატკევიჩი, ა. ფ. ფერტიგი, კ. ს. ცხოშელიძე და სპენდაროვისა. თეორიას—რუდენკო და გროსმანი. მაშინ როდესაც სამუსიკო სასწავლებელში წლიური ფასი უდრის 120 მ., ფილარმონიულში 60 მ., ამ ახალ სახალხო სასწავლებელში წლიური ფასი 15 მ.—30 მ. იქნება.

ი. კ—ი.

# წერილები

**დ. ზუგდიდი.** თითქმის მთელი საქართველო შემომივლია, ბევრს დაბასოფელში ხანგრძლივად მცხოვრია, მაგრამ საზოგადო საქმისადმი იმისთანა გულ ცივობას არსად შევხვედრივარ, როგორც საზოგადოდ სამეგრელოში და კერძოდ ზუგდიდის მაზრაში და ზუგდიდში. თუ ყველა არა, მომეტებული ნაწილი მაინც აქ მცხოვრებელისა, კერძო ინტერესებს იმდენად გაუტაცნია, რომ საზოგადო საქმე მთლად მიუვიწყებია. ბევრჯელ გამიგონია 1905 წელს, როდესაც მთელი ქვეყანა ფეხზედ იდგა, ბობოქრობდა, რომ უჩვენოთაც გაკეთდება საქმეო. ამ „უჩვენოთაც გაკეთდებაო"-ს იმეორებს დღესაც აქ მცხოვრები და ამის მიზეზია, რომ ზუგდიდელი ერთსავე საერთო ჭირსა თუ ლხინში ან სულ არ იღებს მონაწილეობას ან და იღებს ფორმალურად, გულგრილად, დაგვიანებით.

აი მაგალითებიც: შარშან ილიას სიკვდილმა მთელი საქართველო ფეხზე დააყენა. ყველა კუთხიდან დასაფლავებაზედ დასასწრებლად გაიგზავნენ დელეგატები და შემდეგ ილიას ფონდის გასაძლიერებლად გამოიგზავნა და იგზავნება შეწირულებები. ჩვენ. ზუგდიდელებს-კი, არა გაგვიკეთებიარა. რამდენადაც მე ვიცი, აქედან ფონდს ერთი კაპეიკიც არ გაგზავნია. დელეგატი თუმცა იყო, მაგრა მისი სამგზავრო ფული ძლივს მოვაგროვეთ და რადგან ფული ცოტა შეგროვდა, რომლითაც ტფილისამდის ჩამოსვლა მხოლოდ ისეთ ცოტას მომთხოვნელს შეეძლო, როგორიც საზოგადოდ ცნობილნი არიან სტუდენტები, აქედან გამოიგზავნა სტუდენტი, რომელსაც დაევალა შეორე დელეგატად იმ გზით ზუგდიდიდან გადახვეწილი ერთი ვინმე წაეყვანა.

მეორე მაგალითი. წელს გარდაიცვალნენ სახელოვანი ქართველი პროფესორები პეტრიაშვილი და თარხნიშვილი. ყველგან მათ ხსოვნას პატივი სცეს პანაშვიდის გადახდით და აქ,

---

ლოდ შეერთება ამ სხვა და სხვა ხალხისა, რომელთაცა ჰყოფდათ ეროვნება და რჯული, ერთის კანონითა და ერთ არსებობის გრძნობით ღმერთმან თავის განუსაზღვრელ სიკეთით ინება, რომ ეს აღსრულებულიყოს.

„ამიერიდან ყველა ჩემ ქვეშევრდომს ერქმევა ერთი სახელი, როგორც ერთი კანონის შვილთა, სახელი, რომელიც განადიდეს ჩემმა წინაპრებმა და აღამაღლეს იგი ექვსასი წლის განმავლობაში და რომელმაც დასტოვა მრავალი მოგონება და სიდიადის კვალი ისტორიაში. სახელი ოტტომანი, რომელიც აქამდის იყო განხორციელება ძალისა და ძლიერების იდეისა, მომავალში გახდება განსახორციელებლად ყველა ჩემ ქვეშევრდომთა ერთობის იდეისა. ეს არის ჩემი რწმენა. ამ პრინციპებით ალჰერვილმა გავიკაფე ეს გზა, რომელსაც არ გადაუხვევ არასოდეს. მე დარწმუნებული ვიყავ, რომ აუცილებლად საჭირო იყო ჩემ ქვეშევრდომთათვის თავისუფლება და თანასწორობა და ბოლო უნდა მოჰღებოდა ძალ-მომრეობას; საჭირო იყო მთელი ჩვენი ქვეყნის კონტროლი საქმის საერთო გაძღოლისათვის და კანონისათვის; საჭირო იყო ერთის სიტყვით, ჩვენი ადმინისტრატიულ სისტემის წესების შეთანხმება კონსტიტუციის პრინციპებთან. ამ ძვირფას სურვილთა განსახორციელებლად მე გადავსწყვიტე მოვიწვიო პარლამენტი, რომელიც შესდგება სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან.

„ეხლა თქვენი საქმეა, პატიოსნად და პირნათლად შეასრულოთ თქვენი კანონმდებლობითი მოვალეობა, რომელიც მინდობილია თქვენს პატრიოტიზმზედ. დღეს რომ გაუმჯობესებანი გვჭირდება და რეფორმები, რომელსაც ყოველი კუთხე ჩვენი ქვეყნისა უცდის—აი რა არის ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი. თანდა-თანი განხორციელება ამ მიზანთა დამოკიდებულია თქვენსავე თანხმობაზედ. მეორეს მხრით სახელმწიფო საბჭო კანონ-პროექტებს შეიმუშავებს, რომ მერე თქვენ წარმოგიდგინოთ. მე მსურს, რომ თქვენ განსაჯოთ, შეისწავლოთ და ღრმად განარჩიოთ ყოველი კანონი. ყველაზედ უფრო საჭიროა ეხლა იმპერიისათვის განვითარება მიწათ-მოქმედებისა და მრეწველობისა. მე ძლიერ საჭიროდ მიმაჩნია უკვე განხორციელებულ პროგრესის კიდევ უმაღლესი განვითარება ადმინისტრაციის ყველა დარგში, აგრეთვე საერთო გაუმჯობესება მთელი ჩემის იმპერიისა. მთელ ჩემ ძალ-ღონეს შევწირავ ამ საქმეს. ამასთან ჩემს უმაღლეს მოვალეობად ვთვლი გუშაგად ვედგე ჩემ იმპერიას, რომ იმის ღირსებასა და დამოუკიდებლობას ხელი არავინ შეახოს. დრო დაამტკიცებს მხოლოდ ამ ჩემ სურვილთა სიწმინდესა და ლოიალობას. ჩემი მიზანია დავადგე ჩვენ უფლებათა და დამოუკიდებლობის დაცვის გზას, და არავითარ შემთხვევაში მე არ ვუღალატებ შემდეგშიაც ჩემ მიერ ერთხელ არჩეულ მიმართულებას. ჩემმა მთავრობამ დაამტკიცა უკვე თავისი გულ-წრფელობა და ზომიერება და იმედი მაქვს, რომ ეს გულწრფელობა და ზომიერება დაამკვიდრებენ ვიწრო კავშირს ჩვენსა და ევროპას შორის, განამტკიცებენ სიმპატიასა და მეგობრობას, შეგვაერთებენ ევროპასთან როგორც ერთი ოჯახის შვილთა.

„მაღალმა ღმერთმა ინებოს და წარმატება მისცეს ჩვენს საერთო მისწრაფებებს!"

აი რა სიტყვა წარმოსთქვა სულთანმა აბდულ-ჰამიდმა 1877 წელს 19 მარტს. მიდჰად-ფაშის კონსტიტუციის დამყარების დროს ასეთი სიტყვა იქნა წარმოთქმული ხალხის წარმომადგენელთა წინაშე, მაგრამ ეს 19 მარტი სწორედ მიდჰად-ფაშის გაძევების რამდენიმე დღის შემდეგ დადგა, და მიუხედავად სეფე სიტყვის რიგიან შინაარსისა, კონსტიტუციის პირველ ავტორის გაძევება კარგს არას უქადდა თვით კონსტიტუციას. მართლაც, სეფე-სიტყვის კრიტიკა, მიდჰად ფაშის გამოსარჩლება და სხვა ვერ აიტანა აბდულ ჰამიდმა და ციხეში ამოაყოფინა თავი საუკეთესო მოღვაწეებს. დეკემბერში მან ხელ-ახლა მოიწვია პარლამენტი, მაგრამ მოსასპობლად და მოსპო კიდეც. ოცდა-თერთმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და მხოლოდ ეხლა, 17 დეკემბერს ეღირსა ოსმალეთს კვლავ კონსტიტუცია, მაგრამ უფრო მაგარ საფუძველზედ.

ასეთის რიგით წარმოთქმულ სიტყვას რამდენიმე თვის განმავლობაში უღალატა სულთანმა და ეხლა, იძულებული რევოლიუციის მიერ, ამართლებდა იგი 32 წლის დანაშაულს თავის ახალ სეფე-სიტყვაში. ამ სიტყვას შემდეგ ნომერში მოვიყვანთ.

უსახლ-კარო.

ზუგდიდში კი პოლიციის ნებართვა მოითხოვეს პანაშვიდის გადასახდელად, თითქოს პეტრე კილი და თარხნიშვილი რუსეთის უნივერსიტეტის პროფესორები კი არ ყოფილიყვნენ, არამედ ბარიკადებზედ დახოცილნი. აქეთ ჩვენი ჩამორჩენის და უურმოქმედობის ნიშანია. ეს ამბავი ტყუილი არ ეგონოს მკითხველთ. სტუდენტმა ცქლისკირმა, როგორც პეტრიაშვილის ბიძაშვილმა, თავის იდო 15 მარიობისთვის საზოგადოების კლუბიაში თავის მოურა და პანაშვიდის გადახდევინება. კლუბიაში რომ მივედით მოძღვარმა გამოგვიცხადა, რადგან ღვთის მშობლის მიძინების დღესასწაულია დღეს, პანაშვიდის გადახდა კანონით არ შეიძლებაო. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს, მაგრამ მგონი კი თვითონ სიტყვა „მიძინება" გვიჩვენებს, რომ უნდა შეიძლებოდეს. რამდენათაც ვიცი, პანაშვიდის გადახდა აკრძალულია ხელმწიფის დღესასწაულებში. ეს არაფერი. შევიკრიბეთ მეორედ და გვითხრეს: პოლიციის ნებართვაა საჭიროო. და პანაშვიდიც არ იქნა გადახდილი. თარხნიშვილის შესახებ პანაშვიდის გადახდა ხომ სულ არავის გახსენებია.

მგლოვიარობას სიმხიარულეც მოჰყვება. წელს საქართველომ იდღესასწაულა მგოსნის აკაკის ორმოცდა ათის წლის იუბილეი. და მადლობა ღმერთს, რომ ცოტაოდენი ფხა ზუგდიდლებმა ამაში მაინც გამოიჩინეს. ამ ორი თვის წინედ შეიკრიბა რამდენიმე ზუგდიდელი ინტელიგენტი, რათა ზუგდიდლებსაც მიეღოთ მონაწილეობა აკაკის იუბილეის დღესასწაულში. შესდგა კომიტეტი ცხრა კაცისაგან, რომელსაც დაევალა სადღესასწაულო პროგრამის შედგენა. კომიტეტის გადაწყვეტილებით და თაოსნობით ეს ღირსშესანიშნავი დღე აღ იდღესასწაულეს ზუგდიდლებმა: შვიდ დეკემბერს აკაკის სადღეგრძელოდ გადახდილ იქმნა პარაკლისი; იუბილიარს გაეგზავნა მილოცვის დეპეშა, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ საზოგადოებამ გადასწყვიტა მის აკაკის სახელობაზე უფასო სამკითხველო-წიგნთ საცავის დარსება (ზუგდიდში და მთლად ზუგდიდის მაზრაში ჯერ არც კერძო და არც საზოგადო, არც ფასიანი და არც უფასო სამკითხველო არ არსებობს) და შვიდსავე გაიმართა საღამო. საღამოზედ პირველად წაკითხულ იქნა მოკლე რეფერატი აკაკის ბიოგრაფიის და მის საზოგადო და სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ. მერე, წარმოდგენილ იქნა იუბილიარის დრამა: „ახალი გმირი"; შემდეგ ხორომ იმღერა რამდენიმე სიმღერა უმეტესად აკაკის ლექსები, წაკითხულ იქნა აკაკის რამდენიმე რჩეული ლექსი და ბოლოს, დადგმულ იქნა ცოცხალი სურათი აკაკის „სიზმრიდან", და აპოთეოზი. გაიმართა აგრეთვე ცეკვა.

საღამოს მწყობრად ჩაიარა. ხალხი ბევრი დაესწრო. საღამოდან შემოვიდა ორას მანეთზედ მეტი, რომელიც მთლად აკაკის სახელობაზედ განზრახულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ გადაიდო. ამავე საქმეს მოხმარდება ორას მანეთამდის ხელის მოწერით შეკრებილი ფული. ფულის შეკრების შესახებ ბიბლიოთეკის დასაარსებლად კომიტეტმა გუბერნატორისაგან აიღო ნება როგა და ფულის შეკრება დღესაც გრძელდება.

რომ ბიბლიოთეკას ხანგრძლივი დღე ქონდეს და უდროვოდ არ მოისპოს როგორც ზოგიერთი საზოგადო საზოგადო საქმე ზუგდიდში, კომიტეტმა განიზრახა ბულვარში საკუთარი შენობა აეგოს მომავალ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის.

სხვა საქმეებზედ ვეცდები შემდეგ ვილაპარაკოთ. **ლიხელი.**

## რუსეთი

✦ **რეცენზენტის ცემა.** დონის-როსტოვიდან „რუსკ. სლ." ატყობინებენ, რომ ნახიჩევანის ტეატრის ანტრეპრენიორმა სტოიანოვმა თავის ოთახში მოიწვია ჟურნალ „თეატრი და ისკუს." კორესპონდენტი და სცემოა. მიზეზი ისა ყოფილა, რომ კორესპონდენტს რეცენზიაში უძაგებია არტისტები.

✦ **ჩამოხრჩობა.** ჩამოახრჩვეს კიევში—2 კაცი, ეკატერინოსლავში—2, ლოდზში—5, ნიჟნი ნოვგოროდში—5; ჩამოხრჩობა გადაწყვეტილი აქვთ: ეკატერინოსლავში 7, ხარკოვში 1, ეკატერინოსლავში 7 კაცს.

✦ **გაცარცვის წინ და წინვე გაგება.** 21 დეკემბერს პეტერბურბურგში რამდენსამე კაცს სახელმწიფო ზემნახველ კასის გაცარცვა მოუნდომებია. პოლიციას წინ და წინვე შეუტყვია ეს და ყველანი შეუპყრია. სამს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ორს რევოლვერები უსროლიათ, მაგრამ აუცდენია; პოლიცელებს ესენიც შეუპყრია, დანარჩენები მიმალულან. დაჭერილებს თავიანთ ვინაობის გამოცხადებაზე ცივი უარი უთქვამთ.

✦ **პეტერბურგის ოლქის ნაფიც-ვექილთა კრება.** 21 დეკემბერს პეტერბურგის ოლქის ნაფიც ვექილთა კრება მომხდარა. კრების მოწვევა ნაფიც ვექილის გილერსონის სამართალში მიცემამ გამოიწვია. გილერსონმა ბელოსტოკის აწიოკების პროცესში სიტყვა წარმოსთქვა, სადაც მთავრობის მოქმედებას შეეხო. სასამართლომ გილერსონის სიტყვებში ადმინისტრაციის შეურაცყოფა დაინახა და სამართალში მისცა. კრებაზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა ნაფიცმა-ვექილმა გრუზენბერგმა, თავის მოხსენებაში იგი შეეხო ვექილების პასუხის გებას სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვების გამო. კრებამ მოიწონა გრუზენბერგის მოხსენება და დაადგინა: 1. ვექილი პასუხს არ აგებს სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვისთვის; 2. ნაფიც-ვექილის გილერსონის სამართალში მიცემა მოკლებულია კანონიერ საფუძველს, იგი სასამართლოს ადმინისტრაციის დამორჩილებაა, პოლიტიკურ ბრძოლის აქტია; 3. სასურველია, რომ გილერსონის დამცველებად გამოვიდნენ ყველა სასამართლო ოლქის ნაფიც-ვექილთა საბჭოების წარმომადგენელნი კრების დადგენილება ყველა ნაფიც-ვექილებს ეცნობებათ. დასასრულ კრებამ დაადგინა: თანაგრძნობა გამოუცხადოს კადეტებს, რომელთაც პროტესტი განაცხადეს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

✦ **თანაგრძნობის წერილები.** გაზეთ „რეჩს" და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს მილიუკოვს აუარებელი თანაგრძნობის წერილი მისდის იმ ინციდენტის გამო, რომელიც გამოიწვია მილიუკოვის სიტყვამ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მილიუკოვს თანაგრძნობას უცხადებენ და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ, რუსეთის გამოჩენილი მოღვაწენი, ლიტერატორები, პუბლიცისტები და სხვანი.

✦ **საუნივერსიტეტო წესდება.** ახალი საუნივერსიტეტო წესდება ამ კვირაში განიხილავს მინისტრთა საბჭოს და მალე შეიტანს სახელმწიფო სათათბიროში. ხმები, ვითომ ახალ საუნივერსიტეტო წესდების სათათბიროს გარეშე განახორციელებენო, მართალი არ გამოდგა.

✦ **პირველი სახალხო ბანკი.** სრულიად რუსეთის კოოპერატივების წარმომადგენელთა პირველმა კრებამ დაადგინა. დაარსოს პირველი სახალხო ბანკი. ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სისრულეში მოჰყავთ ეს დადგენილება.

✦ **პალესტინაში გამგზავრება.** პოლონეთიდან პალესტინაში გამგზავრებულა ერთი ჯგუფი ებრაელებისა. ყველანი შეძლებულნი არიან. მათ აზრად აქვთ პალესტინაში სამიწად-მოქმედო სახალშენო დაარსონ, რომელიც მაგალითი იქნება სხვა ებრაელებისთვის.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აგლაძე.**


## განცხადებანი

**იყიდება თაფლი**
საუკეთესო ღირსებისა
✦ ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების ✦
(ილია ჭავჭავაძის ყოფილი) მამულიდან.
კოჩუბეევის ქუჩა, № 10.

**მერიკულ ვაზის სანამყნე.** (ს)ნერგი რუპრესტრის მონტიკულა (ანუ დუდი)
იყიდება ს. კარალეთს გორის მაზრაში თავ. მ. რ. ერისთავის მამულში.
1) 1000 ძირი არშინ ნ. ხევარი 15 მან.
2) 1000 " " " 10 "
3) 1000 ძირი მოკლე დასარგავად 3 "
ადრესი: ქ. გორში თ. მიხეილ რევაზის ძე ერისთავი. სობოროს ქ. საკუთარ სახლებში. (4—690—3)

**ნავთიან ლამპის**
**საუკეთესო ასანთები**
„პრაკტუსი" . . 4 მან.
„ინდექსი" . . 4 მან.
„ვუნდი" . . . 4 მან.
ყველა ლამპებისთვის გამოსადეგია.

**ა. ა. მგალობლიშვილი.**
ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტფილისში. (10—ხალ—4)

**60 მანეთიანი 30 მანეთად**


ქ. ქუთაისში
**ა. რ. თაბაგარიას მაღაზიაში**
თეატრის გვერდით
მუდამ იყიდება საუკეთესო საკერავი მაშინები,ველოსიპედები, ჩულქის საქსოვი მანქანები, გრამოფონები და ყოველივე მათი მოწყობილება. ვღებულობთ გამოსვლისათანავე ახალ-ახალ ფირფიტებს და სხვ. საქონელს ვღებულობთ საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებიდან სათითაოდ შემოწმებულს, რისთვისაც ვიძლევით გარანტიას.
**ფასები შესამჩნევად დაკლებულია**
ხელის მაშინა სხვის 60 მანეთიან მაშინებთან შედარებით ჩვენთან 30 მანეთი ღირს.
ჩვენ მაღაზიას აგენტები ჰყავს ყველა ქალაქსა და დაბაში. წერილობით მიწერ-მოწერას პასუხს სწრაფად ვიძლევით.

შეიძლება საქონლის დაბარება ხელ-დადებულ ფასით. თუ გაგზავნილი საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ.

◀ 60 მანეთიანი 30 მანეთად ▶
(100—6—4)



ქ უთაისის ...... ნომიო საზოგადოების
საქონლის ჩამბარებელი
(კომისიონერი)
**ქუთაისიდან**
**ფ. ნ. ჭელიძე**
ამით აცხადებს, რომ კავკასიის აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების მაღაზიებში, კიროჩნი ქუჩაზე და გოლოვინის პროსპექტზე, მიღებულია გასასყიდად ბუნებრივი იმერული
**„შამპანური ღვინო „კოლხიდა"**
და აგრეთვე სამკურნალო ტკბილი ღვინოები ხერესი, მალაგა, პორტვეინი და ტკბილი სიეკლეიო ღვინო გამაგრებულ ყურძნისა. ამას გარდა, იქვე იყიდება ჩვეულებრივი სვირული თეთრი და წითელი ღვინო. (3—692—3)



**✱ პროვოდნიკის ✱**
**ამხანაგობა**
**1888**
**რიგაში**
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● **იყიდება ნარდად და ცალობით:** ●
**რეზინის საქალოშე შინები,**
**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი"** (წითელი),
**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**
**მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**
„პროვოდნიკი"-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარეთ გადის.
**ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების**
**„პროვოდნიკი"-სა**

**გალოშები**
**„პროვოდნიკისა"**

18 97
**პატენტ-მიღებული**
საუკეთესო მთელ
ქვეყნიერობაზე

პირველი ადგილი უპირატეს სიმკვიდრით, და ზედმოხმარებულ ფასონის სილამაზით საქონლის ღირსებით.
**უეჭველი თავმდებობა საქონლის სამაგალითო სიმტკიცისა და სიმაგრისა ყოველ წყვილზე.**

**✱ პროვოდნიკისა ✱**
**წარმომადგენლები მთელ კავკასიისთვის**
**მიუნხ და ვეის**

1888
**ტფილისი და ბაქო.**
(50—6.—36)


სტამბა „ნ ი ს ა თ ლ ე". დიდი ვანქის ქუჩა, № 12.